

განათება თბილისის არქიტექტურაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ლადო ვარდოსანიძე

ელენე ბაქრაძე -ჯგ.6001

გარე განათება უმთავრესი ელემენტია თანამედროვე ქალაქში.იგი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ქალაქის უნიკაურობა, ხაზს უსვამს არქიტექტურულ თავისებურებას შენობებიში. განათებით შეგვიძლია ამა თუ იმ ობიექტის სიდიადეს გავუსვათ ხაზი.გარდა ამისა, გარე დეკორატიული განათება გვეხმარება, შეიქმნას კომფორტული გარემო ქალაქში ღამით.გარე დეკორატიული განათება არის -მთელი კომპლექტი: პარკების, ძეგლების, არქიტექტურული სტრუქტურების და ღონისძიებათა განათების,, ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვანი ელემენტების, რომლებიც ქალაქის სილამაზეს და ინდივიდუალობას წარმოაჩენს.

აღსანიშნავია რომ ერთი შენობის განათებით არ უნდა ხდებოდეს მეორე ნაგებობის დამახინჯება,განათება უნდა ჯდებოდეს გარემოში და ხაზს უნდა უსვამდეს შენობის ფორმებს, ასევე მალავდეს ხარვეზებს. რაციონალური გარე განათება ითვალისწინებს ლანშაფტის და შენობის თავისებურებებს. გარე განათება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ქალაქის რადიკალურად განსხვავებული პერსპექტივა. ბევრი ქალაქი საღამოს განათების სწორად შერჩევით ხდება უფრო მშვენიერი რის შედეგადაც კმაყოფილია მოსახლეობა ,ასევე ტურისტებისთვისაც ხელსაყრელია ისეთი ქალაქის ნახვა რომელიც კარგად არის განათებული და ყველა ღირსშსანისშნავ ობიექტს შეხედავს მისი სიდიადით.

შენობა ნაგებობები თანამედროვე ურბანული პეიზაჟის მთავარი კომპონენტია, ხოლო ქალაქის განათების კონსტრუქციები კი მათ მომხიბვლელობას, დინამიკას, ენერგიასა და გემოვნებას სძენს.

ქალაქის თანამედროვე განათება უნდა პასუხობდეს 5 ძირითად კრიტერიუმს:

1. ხილვადობა - ნორმალური მხედველობითი პირობების უზრუნველყოფა მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე განათების ოპტიმალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, რომლებიც რეგლამენტირებულია მიღებული ნორმებით;

2. უსაფრთხოება - საგზაო სატრანსპორტო და კანონსაწინააღმდეგო შემთხვევები მნიშვნელოვნად მცირდება ქალაქის კარგი განათების დროს. დღევანდელი პერიოდისათვის განათების ხარისხს მოსახლეობა პირდაპირ უკავშირებს მისი პირადი უსაფრთხოების დონეს;

3. ესთეტიკა-საზოგადოება განათებისაგან ელოდება არა მხოლოდ მისი პირდაპირი ფუნქციონალური ამოცანის შესრულებას, არამედ ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ერთიანი გადაწყვეტილება განათებების საშუალების არჩევასა და ობიექტების მრავალსახეობაში არ არსებობს. ოღონდ ესთეტიკა უნდა იყოს ეკონომიური და მიზანშეწონილი;

4. ეკონომიკა-იგი ზოგჯერ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს დამკვეთისათვის. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ კაპიტალური დანახარჯების გარდა არსებობს ასევე დანახარჯები ექსპლოატაციასა,და.რემონტზე

5. განათების საზოგადოებრივი ფუნქცია. ჰარმონიული განათებული გარემოს ცნება ითვალისწინებს კეთილსასურველი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას, რომელიც დადებით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ფუნქციის რეალიზაციაზე და წარმოადგენს ქალაქის ცხოვრების გამოცოცხლების წინაპირობას.

თბილისის ქუჩების განათება ღამის საათებში 1850-იან წლებში დაიწყო. განათება ჯერ სანთლებით, შემდგომ კი ნავთისა და გაზის ფანრების საშუალებით ხორციელდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კი, თბილისის ქუჩები პირველმა თბოელექტროსადგურმა გაანათა. მას შემდეგ ყოველწლიურად თბილისის ქუჩების გასანათებელი წყარო იზრდება და თვალშისაცემია ტექნიკური პროგრესი, რომელიც განათების სისტემამ განიცადა.

სახლებისა და ქუჩის განათება თბილისის მთავრობისთვის სერიოზული პრობლემა იყო მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე. საღამოს მოახლოებისთანავე ქალაქური ცხოვრება კვდებოდა, ყველა კარი ირაზებოდა და მხოლოდ ყარაულები რჩებოდნენ ქუჩებში, რომლებიც მთვარის შუქისა და საკუთარი სანთლის ან ნავთის ფანრების იმედზე იყვნენ. იმ დროის თბილისში ამბობდნენ კიდეც „არ ენდო ქუჩის ფანარს, ენდე ვარსკვლავებს ცაზე". მას შემდეგ, რაც თბილისს რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე ესტუმრა, ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქუჩების განათებაზე ეზრუნა. 1850 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული გაზეთი – „კავკაზი" წერდა: ტახტის მემკვიდრე ქართველი დიდგვაროვნების მიერ ორგანიზებულ მეჯლისს დაესწრო, ერთ-ერთ ბაღში, რომელიც ათასნაირი ფერის ფანრით იყო განათებული, ასევე ბრწყინვალედ იყო განათებული თავად დარბაზიცო. გაზეთის თანახმად, იმ დღეს თბილისი არნახულად განათებული ქალაქი გახლდათ, ილუმინაციები ქალაქის ყველა კუთხეში იყო, მათ შორის – სომხის ბაზარი და ზუბალაშვილების ქარვასლა ორიგინალურად ყოფილა განათებული.

განათებასთან დაკავშირებული სიტუაცია შედარებით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც აირზე მომუშავე ფანრების მონტაჟი დაიწყო. გაზის განათება ნავთის ან სპირიტ-სკიპიდარის ორთქლზე მუშაობდა და მათი უმეტესობა თბილისში მიხეილ ვორონცოვის მთავარმართებლობის დროს შემოიღეს.1853 წელს თბილისი რამდენიმე ასეული ასეთი ფანრით ნათდებოდა, თუმცა ქუჩებს მხოლოდ მაშინ ანათებდნენ, თუკი მთვარის შუქი საკმარისი არ იყო და ისიც – სექტემბრიდან მაისის ჩათვლით. ზაფხულში თბილისი ჩაბნელებული იყო ღამითაც.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ელექტროენერგიამ შემოაბიჯა და თავდაპირველად, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ შენობებში, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში, თითქმის ყველა მცხოვრების ოჯახში დამკვიდრდა. მათ შორის, მთლიანად შეიცვალა ქუჩის განათების სისტემა.

პირველი დენი ელექტროსადგურიდან თბილისმა 1887 წელს მიიღო, როდესაც ქართული დრამატული თეატრის გასანათებლად თბური ძრავების დაყენება დაიწყეს. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე იყო. ასევე, განათდა რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა, მათ შორის სათავადაზნაურო ბანკი. 1895 წლის მაისში ამუშავდა მეორე ელექტროსადგური ძმები თამამშევების ქარვასლაში, ხოლო 1896 წელს – ახალ სახაზინო თეატრში გოლოვინის პროსპექტზე. მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისის მსხვილ შენობებს საკუთარი ელექტროსადგურები ჰქონდა: არტისტული საზოგადოება (ახლანდელი რუსთაველის თეატრი), მელიქ-აზარიანცის საცხოვრებელი სახლი ოლღას ქუჩაზე, არამიანცის საავადმყოფო, ვეტცელის სასტუმრო მიხაილოვის (აღმაშენებლის) გამზირზე და სხვა. იმავე პერიოდში ამუშავდა პირველი საქალაქო ელექტროსადგური, რომლის მთავარი ინჟინერი რამენდინ ლეიზეროვიჩი გახლდათ.

გავითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა განათებას.არქიტექტორები ცდილობენ არა მარტო შენობა დღისით გახადონ მიმზიდველი არამედ ღამითაც მაგალითად , ცნობილია დევიდ მუნის "სინათლის ქანდაკებები"



თბილისში ერთ -ერთი როგორც ჩვენთვის ასევე ტურისტებისთვისის საინტერესო ადგილია რიყის ტერიტორია ,მთაწმინდა,ნარიყალა, ასევე თბილისის და საერთოდ საქართველოს ღირსშესანიშაობები ეკლესიები სადაც მძაფრად ჩანს განათების პრობლემა,კერძოდ განათება ისეა დაყენებული რომ გუმბათი საერთოდ არჩანს და ეკლესიები თავმოკვეთილებივით დგას.



ღამის განათება გარეფასადებზეა მინათებული, რაც აბსურდია - საცხოვრებელი სახლი შიგნიდან უნდა ნათებდეს. ეს გაცილებით უფრო თბილი, ადამიანური და სარწმუნო იქნებოდა.მარჯანიშვილიზე კერძოდ აღმაშენებელზე რეკონსტრუქციის შემდებ მთლიან ქუჩაზე ყველა შენობა გაანათეს ფასადებზე.ამით დაიკარგა შენობის შინაგანი სითბო,სულ რომ არაფერი იქ მცხოვრები ხალხისთვის დიკომფორტს წარმოადგენს ღამე გარედან შემოსული სინათლე.



ვაწყდებით ორ უკიდურესობას, შენობას ან აკლია განთება და საერთოდ ჩაკარგულია ბნელში (ძალიან სუსტ აგანათებაში) ან კიდევ განათების სიჭარბეა.''ბევრი არ ნიშნავს კარგს'' აი მაგალითად ნარიყალა. რომელიც ღამე დანთებულ კოცონს ჰგავს, დაკარგულია ყველა მისი ფორმა სიდიადე,ეფექტურობა. ''მშვიდობის ხიდი'' როგორც დღე ვერ ერგება გარემოს ასევე ღამეც ამოვარდნილია თავისი მჭახე განათებით საერთო სივრციდან



მოსახსნელია ფერად-ფერადი განათება ბარათაშვილის ქუჩიდანაც. გარედან მინათებული მწვანე ლურჯ და ვარდისფერი ფერები რომელიც ამ ძველ სახლებს ამახინჯებს და უკარგავს მის

ელფერს.სინათლის რაოდენობლივ მაჩვენებლებში გამოსახვისკენ სწრაფვა და ,,თბილისი-სინათლის ქალაქის" რიტორიკა გონიერების საზღვრებს სცილდება.



მთაწმინდაზე დიდიხნის განმავლობაში დომინანტი იყო ანძა რომელიც მოციმციმე ნათურებოთ არის განათებული ჩემი აზრით საკმაოდ გადაჭარბებულიც არის შეეძლოთ უფრო მშვიდი განათთებით შეემოსათ, მაგრამ შემდეგ უფრო უარესი გააკეთეს გვერძე დაუდგეს ეშმაკის ბორბალი რომელიც ღამე კაშკაშებს და არც ციმციმით ჩამოუვარდება ანძას რაც ყოვლად დაუშვებელი მგონია,არ არის შაჭირო ორი ერთმანეთის გვერდით მყოფი ობიექტი საახალწლო ნაძვის ხესსავით გაანათო.ძველ თბილისს რომ



გადავხედოთ აშკარად დავინახავთ ალგ ალაგ კაშკაშად განათებულ ადგილებს.ეს განათებული შენობები ამოგლეჯილად არის საერთო ფონიდან.არ აღიქმევა ერთიან სივრცეთ,ერთი შენობის განათება ჩრდილავს გვერდით მდგომ შენობას.მშვიდობის ხიდი საკმაოდ განათებულია მაგრამ მის გვერდით არის „შანგრილა" რომლის გადაჭარბებული განათება ფარავს

ხიდს.ასევე ფერი არაესთეტიკურია,რომ აღარ ვთქვათ მის არქიტექტურაზე რომელიც გარემოდან ამოვაარდნილია.



ჩემი აზრით ერთ ერთი კარგად განათებული შენობა თბილისი მოლისაა.რომლის ფერადი ფასადი განათებაზე საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება.ხოლო ამბასადორის სასტუმრო რესტორანი რომელიც არა მარტო არქიტექტურის მხრივ არის დაწუნებული არამედ მისი



საახალწლო განათებით.

თითქმის არ არის განათებული პრეზიდენტის რეზიდენცია,ეს ის შემთვევაა როდესაც მკვეთრი განათება სჭირდება რადგან მის გარშემო შენობები ცეცხლივით ანათებენ,უკან სამების ეკლესია გვერდით არის საცხოვრებელი სახლი რომელსაც ცივი თეთრი განათება აქვს,წინ კი რიყის პარკი



და ნარიყალაა.

კარგად განათებული შენობის ერთ ერთი კარგი მაგალითია ასევე აეროპორტის გზაზე ეროვნული ბანკის საცავი,რომელიც ღამე უფრო მიმზიდველი ხდება.

დიდი პრობლემაა სკულპტურების განათება,ან საერთოდ არ არის ან ძალიან ცუდად არის განათებული.მაგ წმინდა გიორგის ძეგლი რომელიც შორიდან არ აღიქმება



რადგან განათება უამრავ ბლიკს ქმნის.თან ალბათ ფერიც არ არის კარგად შერჩეული.

დიდ შეცდომას უშვებენ როდესაც ბილბორდებს გადაჭარბებით ანათებენ რაც ხელს უშლის მძღოლებს,მიმდებარე შენობებს არამცთუ იმ შენობას რომელზეც დამაგრებულია ესა თუ ის ბილბორდი.მაგალითად ფილარმონიაზე აკრული ბანერი.რომელიც ჩემი აზროთ შენობას ელფერს უკარგავს .

ჩემი გამოკითხვის შედეგად (მიახლოებით 50 კაცი) უმრავლესობამ არ დააფიქსირა საკუთარი აზრი რადგან არც დაფიქრებულან ამ საკითხზე,ნაწილმა ბილბორდების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება და მცირე ნაწილმა შენობებზე მინათებულ განათებაზე.

ზოგადად რომ გადავხედოთ თბილის ნათლად ჩანს განათების პრობლემა, რაზეც ,,ახალი ნათება ''არის პასუხისმგებელი კარგი იქნება თუ კომპეტენტურ პირს ჩააყენებენ სათავეში რათა დაარეგულიროს პრობლემა,რომელიც ასე ნათლად ჩანს

2011 წლის 6 ოქტომბერს, შერატონ მეტეხი პალასში.ჩატარდა კონკურსი ახალი ნათების ნომინაციის "საუკეთესოდ განათებული ობიექტი – რეალიზებული" გამარჯვებული გახდა ჩვენი ეროვნული სიამაყისა და ღირსშესანიშნაობის "სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის" პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი ბ–ნი გიორგი ჭკუასელი

ხოლო ნომინაციაში "საუკეთესოდ განათებული ობიექტი – პროექტის სახით" – გამარჯვებული გახდა ბექა ქვარიანი,რომელსაც გამოყენებული ჰქონდა ავეჯი როგორც სინათლის წყარო და საკმაოდ საინტერესოდ ჰქონდა განათებული ჭერიც

გამოყენებული მასალა

http://www.lamps.ru/naruzhnoye_osvesheniye.html

http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=268437751&year=2013&jurn_id=18&rubr_id=27
http://newlight.ge/geo/news?info=79
http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114249/
http://www.panoramio.com/photo/34509377
https://www.facebook.com/CityHallofTbilisi?filter=3